

Aleksandre MzhvanadzeE-mail: aleksandremzhavanadze@gmail.com

PhD Student, Batumi

Shota Rustaveli State University

Batumi, Georgia

ORCID ID: 0009-0003-4079-8416

INTRODUCTION AND IMPLEMENTATION OF INTERNAL FINANCIAL CONTROL IN GEORGIA

Abstract. Reason of research. Raising awareness about financial management and control and timely response to existing challenges.

Methodology/approach. The methodological basis of the paper is the fundamental research of economic science. Georgian and foreign scientific articles, works and studies are used in the work, the material used in the research is based on the data of the Ministry of Finance of Georgia, the Ministry of Economy and Sustainable Development, and the National Statistics Service. Qualitative and statistical methods, data from international organizations are used in the research, this research is mainly based on information collection, comparison, study and analysis.

Research tasks. The main tasks and hypotheses of the research can be formulated as follows: the need to introduce the reform was determined not only by Georgia's obligations to the European Union, but also by the potential benefits obtained as a result of its introduction, because the state's internal financial control system ensures the proper functioning of public services and the legal and transparent use of state funds. , economical, efficient and productive disposal.

Practical value/consequences. The results and conclusions of the research can be used in higher education as a guide material. In addition, it will significantly help the government institutions in the development of the country's economic development course, its adjustment and implementation of specific issues.

Key words: State finances, Financial management, Control, Audit, Management

JEL classification: G28; H71; H12

ალექსანდრე მჟვანაძეE-mail: aleksandremzhavanadze@gmail.com

დოქტორანტი, ბათუმის

შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

ORCID ID: 0009-0003-4079-8416

შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვა და იმპლემენტაცია საქართველოში

აბსტრაქტი. კვლევის მიზანი. ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლების და არსებულ გამოწვევებზე დროული რეაგირება.

მეთოდოლოგია/მიდგომა. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს

ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტალური გამოკვლევები. ნაშრომში გამოყენებულია ქართული თუ უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები და კვლევები, კვლევაში გამოყენებული მასალა ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი და სტატისტიკური მეთოდები, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები, მოცემული კვლევა ძირითადად ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას, შედარებას, შესწავლასა და ანალიზს.

კვლევის ამოცანები. კვლევის ძირითადი ამოცანები და ჰიპოთეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: რეფორმის დანერგვის აუცილებლობა განპირობებული იყო არა მხოლოდ საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით, არამედ მისი დანერგვის შედეგად მიღებული პოტენციური სარგებლით, რადგან სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს საჯარო სამსახურების გამართულ ფუნქციონირებასა და სახელმწიფო სახსრების კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად განკარგვას.

პრაქტიკული ღირებულება/შედეგები. კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სახელმძღვანელო მასალა. ამასთან, იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება სამთავრობო ინსტიტუტებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კურსის განსაზღვრის, მისი კორექტირებისა და რეალიზაციის კონკრეტული საკითხების დამუშავებისას.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ფინანსები, ფინანსური მართვა, კონტროლი, აუდიტი, მენეჯმენტი

JEL კლასიფიკაცია: G28; H71; H12

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება 2010 წლიდან ეტაპობრივად, ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად დაიწყო, თუმცა, რეფორმის დანერგვის აუცილებლობა განპირობებული იყო არა მხოლოდ საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით, არამედ მისი დანერგვის შედეგად მიღებული პოტენციური სარგებლით, რადგან სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს საჯარო სამსახურების გამართულ ფუნქციონირებასა და სახელმწიფო სახსრების კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად განკარგვას.

რეტროსპექტული შეფასება ემსახურება ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. კერძოდ, შეფასების მიზანია:

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პროცესის შეფასება, რაც გულისხმობს იმის დადგენას, შესრულდა თუ არა მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები;

2. “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 თავში (ფინანსური მართვა და კონტროლი) არსებული შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენა და შეფასება;

3. ფინანსური მართვისა და კონტროლის მნიშვნელობის შეფასება დღის წესრიგი 2030-ის პრინციპებთან და მიზნებთან მიმართებით;

4. შეფასების საფუძველზე კანონის ქმედუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება;

5. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლების და არსებულ გამოწვევებზე დროული რეაგირების მიზნით, სამუშაო ჯგუფი შეფასების ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს საჯაროდ წარუდგენს დაინტერესებულ მხარეებს - საჯარო მოსამსახურეებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, წერილობით გაუზიარებს ანგარიშს დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო ჯგუფებს.

კვლევის დიზაინი - რეგულაციის სრული რეტროსპექტული ანალიზი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე ხორციელდება პროცესის შეფასება, რაც გულისხმობს იმის დადგენას თუ რეგულაციის რომელი კომპონენტების იმპლემენტაცია მოხერხდა შეფასების განხორციელების დროისათვის. მეორე ეტაპზე ხორციელდება შედეგების შეფასება - რეგულაციის იმპლემენტაციამ რა ქცევითი ცვლილებები გამოიწვია და ამ ცვლილებებმა რა შედეგები განაპირობა. ანალიზის მესამე ეტაპზე ხორციელდება გავლენების შეფასება - მიღწეული შედეგების ეფექტურობისა და ეფექტიანობის ანალიზი.

სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულებებიდან (სამინისტროები) განისაზღვრა “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 თავის რეტროსპექტული ანალიზის არეალი. კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პრობლემები დაკავშირებულია კანონის იმპლემენტაციის პროცესთან, არ ხდება მისი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, იმპლემენტაცია. შესაბამისად, რეტროსპექტული ანალიზის ფარგლებში გადაწყდა მხოლოდ პირველი ეტაპის - პროცესის შეფასება და იმ მიზეზების დადგენა, რაც ხელს უშლის იმპლემენტაციის პროცესს, ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მოცემული რეტროსპექტული შეფასება ანალიზებს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის (ფინანსური მართვა და კონტროლი) ეფექტურობას (რამდენად იქნა მიღწეული რეფორმის დაწყებისას დასახული მიზნები), ამჟამად არსებულ მიზნებთან შესაბამისობას და თავსებადობას სახელმწიფოს სხვა პროგრამებთან, საერთაშორისო შეთანხმებებთან და დღის წესრიგი 2030-ის მიზნებთან. შესაბამისად, შეფასება შემდეგ კითხვებს პასუხობს:

1. განხორციელდა თუ არა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დასაწერად დაგეგმილი აქტივობები?

2. რა მიზეზებმა განაპირობა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დაწერვის პროცესის შეფერხებით მიმდინარეობა?

3. არის თუ არა კანონი კვლავ საუკეთესო გზა მიზნის მისაღწევად?

4. თავსებადია თუ არა კანონი მსგავსი მიზნების მქონე სხვა რეგულაციებთან (საჯარო მმართველობის რეფორმა, პროგრამული ბიუჯეტირება)?

5. რამდენად უწყობს ხელს “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონი (კერძოდ, მე-2 თავი) დღის წესრიგი 2030-ის მიზნებისა და პრინციპების მიღწევას?

რეკომენდაციები:

ფინანსთა სამინისტრომ და მთავრობამ უზრუნველყონ საკანონმდებლო ცვლილებათა მომზადება და ინიცირება, რომელთა შედეგადაც:

- ჰარმონიზაციის ცენტრი ანგარიშვალდებული გახდება ფინანსთა მინისტრის წინაშე და გაუმჯობესდება მისი ქმედითუნარიანობა. ჰარმონიზაციის ცენტრი ჩამოყალიბდება როგორც მუდმივმოქმედი, კომპეტენტური ერთეული;

- ჰარმონიზაციის ცენტრში ჩამოყალიბდება 2 დანაყოფი, რომელთაგან ერთი იზრუნებს შიდა აუდიტის, ხოლო მეორე ფინანსური მართვისა და კონტროლის კოორდინირებასა და დანერგვაზე საჯარო სექტორში;

- განხორციელდება იმ საერთაშორისოდ აპრობირებული პრაქტიკის გამოყენება, რომელიც დაიცავს შიდა აუდიტის ერთეულებისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ დამოუკიდებლობას.

- ჰარმონიზაციის ცენტრის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშვნა მოხდება შესაბამისი პერიოდით, იგი ანგარიშვალდებული იქნება უშუალოდ ფინანსთა მინისტრის წინაშე და მას მიენიჭება ის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეფორმის სტაბილურად წარმართვას შეუწყობს ხელს.

ჰარმონიზაციის ცენტრმა:

- უნდა უზრუნველყოს შესაფერისი და საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება (განსაკუთრებით, კანონის ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე);

- უნდა უზრუნველყოს შიდა კონტროლის დანერგვისათვის საჭირო ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოცემა და სრულყოფა;

- მიიღოს ზომები საკუთარი კომპეტენციის გასაუმჯობესებლად და აქტიურად გამოიყენოს საერთაშორისო თანამშრომლობის თანამედროვე გზები.

სამინისტროებმა:

- გამოიყენონ მოქნილი მიდგომა სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე შიდა აუდიტორების დასაქირავებლად. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს საკითხს მრავალფეროვანი ცოდნის ბაზის არსებობის შესახებ.


- უზრუნველყონ შიდა აუდიტის ერთეულის თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარება.

არასაკმარისი ფინანსური მართვა და კონტროლი - საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს ფაქტი, რომ იგი ძირითადად ორიენტირებულია სტრატეგიულ პროცესებსა და დოკუმენტაციაზე, რაც აუცილებელია საჯარო ფინანსების მართვისთვის, თუმცა ამავდროულად აღნიშნული თავიდან იცილებს სათანადო განხორციელების საკითხებს, კერძოდ, მართვის ღონისძიებებს და რესურსების მართვას. გამჭვირვალე ფინანსური მართვის სისტემის შესაქმნელად, უნდა განისაზღვროს მენეჯერის ზუსტი განმარტება და დაწესებულებების კონკრეტული მარ-

თვის სტრუქტურა, ასევე უნდა შემუშავდეს ანგარიშვალდებულების ნათელი ჯაჭვი. არსებული სისტემა ვერ განსაზღვრავს ფინანსური მართვის ოპერატიულ გავლენას მომსახურების სწორ და ეფექტურ მიწოდებაზე. არსებობს ფინანსური ანალიზის და დაწესებულებაში წამყვანი ფინანსური აღმასრულებლის როლის მნიშვნელობის გაცნობიერების ნაკლებობა. მოცემულ ეტაპზე, არ არის საჭიროება მოხდეს ფინანსური ინფორმაციის შემუშავება და წარმოდგენა, გარდა იმისა, რაც უკავშირდება ბიუჯეტის მომზადებას და ხარჯებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის საფუძვლიანი კვლევის შედეგად მოხდა ფინანსური მართვისა და კონტროლის ჩამოყალიბების პროცესში არსებული გამოწვევების ანალიზი და შემუშავდა მათი ეფექტიანი გადაჭრის გზები. გარდა საქართველოს საბიუჯეტო სისტემის კვლევისა, საერთაშორისო გამოცდილების, კერძოდ, ევროპული შიდა ფინანსური კონტროლისა და ფისკალური პოლიტიკის ჩარჩოების გამოკვლევით განხორციელდა საქართველოს შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შედარება უცხოურ ქვეყნებთან და შესაბამისად, სამომავლო განვითარებისთვის აუცილებელი სტრატეგიების განსაზღვრა.



ცხრილი 1.


წყარო: ecb.europa.eu

დიაგრამა ეფუძნება ევროკომისიის ფისკალური მმართველობის მონაცემთა ბაზის უახლეს ხელმისაწვდომ განახლებას (2017) და მოიცავს ყველა ეროვნულ ფისკალურ წესს, მათ შორის იმ წესებს, რომლებიც ზღუდავს ზოგადი სამთავრობო სექტორის მხოლოდ ნაწილს, როგორცაა რეგიონალური ან მუნიციპალური დონე.

როგორც დიაგრამაზე არის ნაჩვენები, ბოლო 20 წლის განმავლობაში მოქმედი ეროვნული ფისკალური წესების რაოდენობა დაახლოებით სამჯერ გაიზარდა ევროზონის ქვეყნებში, ცვლილებებმა მკვეთრი სახე მიიღეს 2015 წლიდან, რაც განსაკუთრებით ასახულია დაბალანსებული ბიუჯეტის წესების ზრდაში. ფისკალური წესების ჩარჩო ხარისხობრივად ბევრად უფრო გაუმჯობესდა, ვიდრე ეს მხოლოდ წესების რაოდენობის ზრდა.

ფისკალური წესების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში ტიპების და მთავრობის სექტორების მიხედვით 2015 წელს.

ცხრილი 2.




როგორც ვხედავთ, თითოეული მთავრობის სექტორში ყველაზე მეტად აქტუალურ წესთა ჩარჩოს წარმოადგენს ბალანსის წესები. ბიუჯეტის ბალანსისა და დანახარჯის ზრდის წესებით ევროპული ქვეყნები ახდენენ ევროკავშირის ფისკალური დისციპლინის ჩარჩოს, რაც გულისხმობს, სტაბილურობისა და ზრდის პაქტის მოთხოვნების, შესრულებას.

შვედეთის, როგორც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი საჯარო ფინანსების მქონე სახელმწიფოს, ფისკალური პოლიტიკის კვლევის შედეგად, დავადგინეთ, რომ აქ ფინანსური მენეჯმენტის ეროვნული ორგანო და ეკონომიკური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აფასებენ ქვეყნის მაკროეკონომიკურ და საჯარო სექტორის ფინანსურ განვითარებას, და წარადგენენ რეკომენდაციებს ფისკალური პოლიტიკის თაობაზე.

თავად ფისკალური პოლიტიკის საბჭო კი წარმოადგენს დამოუკიდებელ უწყებას და განიხილავს თუ რა დონეზეა მიღწეული ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები, მათ შორის საჯარო ფინანსების გრძელვადიანი სტაბილურობა, პროფიციტის სამიზნე მაჩვენებელი, დანახარჯების ჭერი და სხვა.

1991-1993 წლებში შედარებითი ერთეული შრომის ხარჯები 20%-ით შემცირდა. ეს ძირითადად განპირობებული იყო ნომინალური კურსის გაუფასურებით. შედეგი იყო წმინდა ექსპორტის გაძლიერება.

ცხრილი 3.



წყარო: *cepr.org*

შვედური გამოცდილება ასევე მიუთითებს იმაზე, რომ გამჭვირვალობა და მაღალი ხარისხის პოლიტიკის დებატები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ფისკალური დისციპლინისთვის, რის დეფიციტსაც განიცდის ამჟამად საქართველო.

მას შემდეგ, რაც, შვედეთში 2018 წლის აპრილში, მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა სამთავრობო შეტყობინება (Government Communication), რაც გულისხმობდა, არსებულ ფისკალურ ჩარჩოში შესატანი ცვლილებების დეტალურ აღწერას, გამკაცრდა ბიუჯეტის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია და უზრუნველყოფილი იქნა საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა.

საქართველოში კი ღიაობისა და მკაფიოობის წინა პლანზე წამოწევა ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხად რჩება და ფისკალური პოლიტიკის გარე მონიტორინგი ვერ ხორციელდება ეფექტურად. საბიუჯეტო დაწესებულებები ხასიათდებიან კონკრეტული რისკებით, როგორცაა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად, არაეფექტიანად, არაპროდუქტიულად და არაეკონომიურად, განკარგვა. ასევე, თაღლითობა, მითვისება, კორუფცია და რესურსების არარაციონალური ხარჯვა.

განვითარების სტრატეგიების კანონის იმპლემენტაციის პროცესის შეფასების შედეგად გამოიკვეთა რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ხელს უშლის ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ეფექტურად და დროულად დანერგვას საბიუჯეტო უწყებებში.

კანონით არ არის განსაზღვრული სანქციების მექანიზმები, რაც აფერხებს მის აღსრულებას. უპირველეს ბარიერს ქმნის პოლიტიკური ნების ნაკლებობა, რომ მოხდეს პროცესის ფასილიტაცია, რაც თავის მხრივ განაპირობებს კანონის უგულებელყოფას მენეჯერთა მხრიდან და FMC-ის შესახებ ცნობიერების დაბალ დონეს. გამოვლენილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვის პროცესს საბიუჯეტო უწყებებში. რეკომენდაციები იქნება ქმედითი მხოლოდ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, რომ მოხდეს FMC-ის იმპლემენტაციის პროცესის ფასილიტაცია.

რეკომენდაცია 1: კანონში უფრო ნათლად გაიწეროს, კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები და დაწესებულებები. მიზანშეწონილია თითოეულ სუბიექტს გააჩნდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

რეკომენდაცია 2: კანონის აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია, ამ და მომიჯნავე რეფორმების (როგორცაა, საჯარო სამსახურის და პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმა) განმახორციელებელ პირებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა კოორდინაცია, ხშირი/გეგმიური კომუნიკაცია.

რეკომენდაცია 3: კონსულტაციებმა აჩვენა, რომ მენეჯერთა უმეტესობა ზედაპირულად იცნობს ან არ იცნობს კანონს. კანონის იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობა შესაძლებელია მისი პრინციპების ისეთ „აქტიურ“ კანონთან ინტეგრირებით (კანონი, რომელში შეტანილ ცვლილებებსაც აქტიურად ადევნებენ თვალს საჯარო მოხელეები), მაგალითად როგორცაა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

რეკომენდაცია 4: პილოტების განხორციელებამ აჩვენა, რომ ჰარმონიზაციის ცენტრმა, არსებული შეზღუდული რესურსების მიუხედავად, შეძლო ხელშესახები შედეგების მიღწევა ცნობიერების ამაღლებისა და FMC-ის მექანიზმების იმპლემენტაციის ხელშეწყობის კუთხით. იმისათვის, რომ ჰარმონიზაციის ცენტრმა მოიცვას ყველა სამინისტრო, შეძლოს FMC-ის დანერგვის პროცესში საკუთარი ფუნქციების ეფექტურად შესრულება, მნიშვნელოვანია მათი რესურსების გაზრდა, რაც პირველ რიგში გულისხმობს ადამიანური რესურსების ზრდას.

რეკომენდაცია 5: ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, უნდა მოხდეს ტრენინგების სიხშირის გაზრდა, მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერთა მომზადება და გადამზადება ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების იმპლემენტაციის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემის მიმართულებებით, რაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რესურსების მქონე ჰარმონიზაციის ცენტრმა.

რეკომენდაცია 6: შიდა აუდიტის სუბიექტების თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ სწორი წარმოდგენა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის საჭიროებასა და მისი იმპლემენტაციის პროცესებზე, რათა შეძლონ სათანადო რეკომენდაციების გაცემა FMC-ის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნით. შესაბამისად, მიზანშეწონილია შიდა აუდიტორების გადამზადება ამ მიმართულებით.

რეკომენდაცია 7: მნიშვნელოვანია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მეტი აქცენტი გააკეთოს სამინისტროებში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მდგომარეობაზე და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] <https://mof.ge/4178> - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი
- [2] <https://sao.ge/ka/94201911290331146ka.html> სახელმწიფო აუდიტის სტანდარტები
- [3] http://gov.ge/files/411_51091_144895_427-119.08.15.pdf - საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020
- [4] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“
- [5] 2017 წლის 21 მარტის N512 საქართველოს მთავრობის განკარგულება - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე
- [6] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის. <https://www.mof.ge/5439>
- [7] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მშპ და ეკონომიკური ზრდა (2008-2022). https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda
- [8] კონრად ადენაუერის ფონდი. & ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2020). COVID – 19 - ის ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. 1-16. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid_and_investment.pdf